მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წელს — ამთავითვე დამკვრელური ცხენები!

„1980 წელი—ეს არის კარგად ორგანიზებული მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, კარგად გაზაფხულ, რომელსაც მომდევნო ხუთწლედი დაეფუძნება. ეს არის პარტიის XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელი. სწორედ ამ კოზიციებით უნდა მივუდგეთ გაწეული მუშაობის შეფასებას და 1980 წლის ამოცანებს.“

ლ. ი. ბრეჟნევი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
4 იანვარი
№3 (17648)
ფასი 2 კაპ.

მეათე ხუთწლედისათვის დასახული სამრეწველო წარმოების 41 პროცენტის ოდენობით მატების ტემპის უზრუნველსაყოფად წლეულს აუცილებლად უნდა მივაღწიოთ მრეწველობის პროდუქციის აბსოლუტურ მატებას 690 მილიონი მანეთის ოდენობით. ეს კი ნიშნავს, რომ წლეულს უნდა ვაწარმოოთ 150 მილიონი მანეთის ზებგზმითი პროდუქცია. ეს გრანდიოზული პროგრამა რომ რეალობად ვაქციოთ, არამც და არამც არ უნდა განმეორდეს ის, რაც მოხდა გასული წლის პირველ კვარტალში და განსაკუთრებით იანვარში, როცა მნიშვნელოვნად გაუარესდა მრეწველობის მუშაობის მაჩვენებლები, რისი ზღვევინებაც ჩვენ მთელი წლის განმავლობაში მოგვიხდა.

საქართველოს 1979 წლის დეკემბრის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან.

გამარჯვების მტკიცე ბრჯენი

დ. ქართველიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, რამდენიმე დღეა შეუდგნენ სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის იმ კომპლექსური პროგრამის განხორციელებს, რომელიც 1980 წლისათვის არის დასახული. მიმდინარე წელი არა მარტო მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპია, არამედ საბაზისო წელია მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პარამეტრების განსაზღვრისათვის. ამასთან, დინამიკურად და პროპორციულად განვითარებადი ეკონომიკის ბუნების შესაბამისად, 1980 წლის საგეგმო დავალებები უფრო მასშტაბური და რთულია, ვიდრე წინა პერიოდებისა. წელს რესპუბლიკის წინაშე მდგომი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანებიდან წინა პლანზე დგას მთლიანად მეათე ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობის 41 პროცენტით გადიდების უზრუნველყოფა. ხუთწლედის განვლილ პერიოდში ამ ამოცანის გადასაწყვეტად ბევრი რამ გაკეთდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობით განხორციელებულ ორგანიზატორულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა საფუძველზე მიღწეული წარმოების დონის შესაბამისად 1980 წელს ხსენებული ამოცანის გადაწყვეტისათვის საკმარისია მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გავზარდოთ 8,3-8,4 პროცენტით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 11,2 პროცენტის ნაცვლად.

ამ თვალსაჩინო მიღწევის მიუხედავად, 1980 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდების ამოცანა უფრო დაძაბულია, ვიდრე წინა წლებში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ წინასწარი მონაცემებით, განვლილ ოთხ წელიწადში სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო წლიური ტემპი 6,8 პროცენტს, საშუალო აბსოლუტური ნამატი კი 472 მილიონ მანეთს შეადგენდა, ანუ შესაბამისად 1,6 პუნქტითა და 24 მილიონი მანეთით ნაკლებს, ვიდრე წელს არის საჭირო დასახული ამოცანის შესასრულებლად. ამას წინათ გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ კონკრეტული მონაცემებით ნათლად და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ „ეს, რა თქმა უნდა, რთული, ძალზე ძნელი, მაგრამ რეალური ამოცანაა, რომლის შესრულება ჩვენ ძალგვიძს“. მანვე მკაფიოდ განსაზღვრა ამ ამოცანის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობა — გაზრდილი ორგანიზებულობა, აქტიური და მიზანდასახული ბრძოლა უკლებლივ ყოველი დეკადის და თითოეული დღის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა უცილობელი შესრულებისათვის, 1980 წლის პირველი იანვრიდან დაწყებული.

ერთი სიტყვით, წლის დასაწყისიდანვე უნდა ავიდოთ, შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ისეთი შრომითი რიტმი, რომელიც უზრუნველყოფს პირველი თვიდან და პირველი კვარტალიდანვე მთლიანად ხუთწლიანი გეგმის დავალების შესასრულებლად საჭირო წარმოების ზრდის ტემპის მაჩვენებელს (84 პროცენტს).

ამ ამოცანის რეალიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ ვალდებულებათა და შემხვედრი გეგმების შემუშავებისა და შესრულებისათვის მოძრაობის ფართოდ გაშლას. საქმე ის არის, რომ ამ სიძნელეთა და ხირთულეთა გამო, რომლებიც მთლიანად ჭეყენის მოსახლეობით მთელი რიგი სანედლეულო დარგებისა და ტრანსპორტის საქმიანობაში შეიქმნა, და რომელთა შესახებ მკაცრი პრინციპული სკკპ-ბაასი გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მრეწველობის განვითარების საგეგმო მაჩვენებლები ისე ჩამოყალიბდა, რომ ვერ უზრუნველყოფს მთლიანად 1976-1980 წლებში წარმოების მოცულობის 41 პროცენტით გადიდებას. კერძოდ, 1980 წლისათვის დამტკიცებული ზრდის ტემპი 7,7 პროცენტს შეადგენს, ანუ აუცილებელზე 0,7 პუნქტით ნაკლებია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა კი ხუთწლიანი გეგმის შესრულების უზრუნველყოფა უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანად მიიჩნია. მაშასადამე, საჭიროა გამოვძებნოთ და სრულად გამოვიყენოთ წარმოების ზრდისა და სრულყოფის შინაგანი რეზერვები და რესურსები. ამასთან დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის მტკიცე გარანტია რომ შეექმნათ, აღნიშნული პოტენციური შესაძლებლობები წინასწარ უნდა აისახოს თვიერ და კვარტალურ საგეგმო დავალებებში. ეს იქნება დაგეგმვის, როგორც პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის პრაქტიკაში ქმედითად გამოყენების კიდევ ერთი ცოცხალი მაგალითი.

ამჟამად დამტკიცებულ საგეგმო დავალებებს აცნობენ საწარმოებსა და გაერთიანებებს. ეს საგეგმო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია. საგეგმო დავალებები უნდა განაწილდეს სამუშაო დროის ფონდის სრული შესაბამისობითა და დარგობრივი სპეციფიკის ყოველმხრივი გათვალისწინებით.

წინასწარი მონაცემებით, ამ მხრივ, რესპუბლიკის მრეწველობაში შემდეგი სურათი იქმნება: პირველი კვარტალის ხვედრითი წონა წლის სამუშაო დროის ფონდში 25 პროცენტს შეადგენს, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში კი ამ პერიოდისათვის დაგეგმილი პროდუქციის გამოშვება წლიური საწარმოო პროგრამის 21 პროცენტია. აქვე გარკვეულ როლს ასრულებს ჩვენს მრეწველობაში სეზონური დარგების ხვედრითი წონა. მაგალითად, რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდა, პირველი კვარტალის საწარმოო პროგრამის წილი წლიურ გეგმაში 23,3 პროცენტს აღწევს. საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებმა, წინასწარი მონაცემებით, პირველ კვარტალში წლიური დავალების 24,3 პროცენტი უნდა შეასრულონ. ეს მონაცემები წინა წლების მაჩვენებელთა ანალოგიურია და თითქოს მისაღებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, სამწუხაროდ, პირველი კვარტალისათვის დასახული წარმოების მოცულობანი ვერ უზრუნველყოფს წლისათვის დასახულ აუცილებელ ზრდის ტემპს. კერძოდ, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა გარდა მრეწველობაში ნავარაუდევი საგეგმო დავალებების მიხედვით წლიური ტემპი განსაზღვრა 7,4 პროცენტით, პირველი კვარტალისა კი 5,2 პროცენტის ოდენობით დამტკიცებული წლიური გეგმის 7,9 პროცენტის ნაცვლად. საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობაში პირველი კვარტალის ზრდის ტემპი 5,7 პროცენტის დონეზე ყალიბდება წლიური გეგმით გათვალისწინებული 7,3 პროცენტის ნაცვლად.

მაშასადამე, კვლავ იჩინა თავი საგეგმო დავალებათა არათანაბარზომიერი განაწილების პრაქტიკამ, რაც, თუ გავითვალისწინებთ რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე მდგომი ამოცანების მნიშვნელოვან სირთულეს, მიუღებლად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენი ვალია არ დავუშვათ საწარმოო პროგრამის სიმძიმის გადატანა წლის მეორე ნახევარზე, ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა უნდა განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს წარმოების ზრდის სწრაფი ტემპის უზრუნველყოფისათვის.

არანაკლებ რთული ამოცანები დგას რესპუბლიკის მშენებელთა წინაშე. წელს შარშანდელთან შედარებით სახალხო მეურნეობაში ათვისებულ უნდა იქნეს 7 პროცენტით მეტი კაპიტალური დაბანდებანი, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ზრდა კი 6 პროცენტს შეადგენს. ამასთან წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მშენებლები სამეურნეო წელს არცთუ ისე სახარბიელო მაჩვენებლებით იწყებენ. მაგალითად, მეათე ხუთწლედის განვლილ წლებში პირველ კვარტალში ათვისებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა წლიური გეგმის მხოლოდ დაახლოებით 17 პროცენტს აღწევდა, რაც ძირითადი ფონდების უმთავრესად წლის ბოლოსათვის და ურიტმოდ ამოქმედების, ხშირად კი ამოქმედების გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. ამიტომ მიმდინარე წელს მშენებლობის გაზრდილი მასშტაბების გათვალისწინებით საჭიროა პირველ კვარტალში ივე შეკასრულოთ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური მოცულობის სულ ცოტა ოცი პროცენტი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საბინაო მშენებლობას. თუმცა 1980 წლის პირველ კვარტალში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 35 პროცენტით მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, ამ ხნის განმავლობაში შესრულდება ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური პროგრამის მხოლოდ 11,2 პროცენტი, რაც წინა წლების ურიტმო მუშაობის შედეგად საჭირო მარაგნამეტის შეუქმნელობით აიხსნება. უნდა გაუმჯობესდეს მდგომარეობა სკოლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაზე.

არა მარტო 1980 წლის გეგმის შესრულებისათვის, არამედ მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დასახული საწარმოო სიმძლავრეების დროულ ამოქმედებას. მშენებლებმა ანგარიშგება ზუსტი ფრაფიკით უნდა ამუშაონ.

დროის ფაქტორსა და საიმედო სტარტს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მუშაკთა უპირველესი ამოცანაა უზრუნველყონ ტექნიკის ყოველმხრივი მზადყოფნა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დავალებათა გადაჭარბებით შესრულება.

მთელი ჩვენი საქმიანობის უმთავრეს ორიენტირად უნდა მივიჩნიოთ საკავშირო 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მითითება იმის შესახებ, რომ 1980 წლის საგეგმო დავალებები მთლიანად და გადაჭარბებით უნდა შესრულდეს, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას მაღალი მომთხოვნელობის, ორგანიზებულობისა და დაკისრებული მოვალეობისადმი შემოქმედებითი მიდგომის ვითარება.

საქართველოს მსუბუქ მრეწველობას მიმდინარე ხუთწლედში წარმოების მოცულობის ზრდის საკმაოდ სწრაფი ტემპი აქვს დაგეგმილი. ეს არის 42,2 პროცენტი, რაც მსუბუქი მრეწველობის სისტემაში 16 პუნქტით აღემატება საკავშირო მაჩვენებელს.

როგორ გადაწყვიტა ეს ამოცანა რესპუბლიკის მსუბუქმა მრეწველობამ ხუთწლედის განვლილ პერიოდში? 1979 წელს დარგმა მთლიანი პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 101 პროცენტით შესრულა. გავასაღეთ 14 მილიონი მანეთის ზედგეგმითი ნაწარმი, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა 1,4 პროცენტის გადაჭარბებით შეკასრულეთ და ზედგეგმით 19 მილიონი მანეთის ნაწარმი დავამზადეთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი პროდუქციის სადღეღამისო გამოშვება ოთხ მილიონ-ნახევარ მანეთს შეადგენს, მაშინ ჩვენ თითქმის ხუთი დღით ადრე უზრუნველვყავით 1979 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება. საგულისხმოა, რომ წარმოების ზრდის ტემპმა დაგეგმილი 108,7 პროცენტის ნაცვლად 110,2 პროცენტი შეადგინა.

გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა, რის შედეგადაც წარმოების მატებამ 87 პროცენტი შეადგინა.

ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმა შეკასრულეთ 102,5 პროცენტით. ამ მხრივ ზრდის ტემპმა 111,4 პროცენტს მიაღწია, ხოლო მასობრივი მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებას 5,1 პროცენტით გადაჭარბებით. ამ მხრივ ზრდის ტემპმა 122 პროცენტი შეადგინა.

ჩვენ 16,1 პროცენტის გადაჭარბებით შეკასრულეთ სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა, რაც 1978 წლის მაჩვენებელს ორჯერ სჭარბობს. ეს საკავშირო მსუბუქი მრეწველობის მაჩვენებელს 8,7 პროცენტით აღემატება. აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემების მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველო მეორე ადგილზეა. ამასთანავე მინდა ხაზი გავუსვა ერთ მნიშვნელოვან ფაქტს: უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ჩვენ არც ერთხელ არ შეგვისრულებია საბალანსო მოგების გეგმა. შარშან ამას მივაღწიეთ და ეს არსებითია.

რით იყო გამოწვეული ჩვენი ასეთი ზარალიანი მუშაობა? ჯერ ერთი, იმით, რომ თავის დროზე ვერ ვაწოდებდით საქონელს მომხმარებელს, რისთვისაც დიდ ჯარიმებს ვიხდიდით; მეორე, გვქონდა არამწარმოებლური ხარჯები. 1978-1979 წლებში ჩვენ შეკასრულეთ საბალანსო მოგების გეგმა. გვქონდა გადაჭარბება: გეგმით გათვალისწინებული იყო 87 მილიონ 27 ათასი, ფაქტობრივად ამ მაჩვენებელმა 87 მილიონ 693 ათასი მანეთი შეადგინა. თუ ერთმანეთს შევადარებთ ამ მონაცემებს და 1978 წელს ფაქტობრივად მიღებული მოგების მაჩვენებელს, მაშინ გვქონდა, რომ იგი 20 პროცენტით გაზრდილა. დარგმა უზრუნველყო სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების 3,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება. თუ წინა წლებში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ნაცვლად გადახარჯვა გვქონდა, შარშან ამ ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით მიღებულმა ეკონომიამ ნახევარი მილიონი მანეთი შეადგინა.

დიახ, ასეთია ჩვენი შარშანდელი ძირითადი ეკონომიკური და ტექნიკური მაჩვენებლები. იმასაც ვიტყვი, და ეს, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სისტემის 55-ვე საწარმომ შეასრულა სახელმწიფო გეგმა. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სახელმწიფო, საშემსრულებლო ტექნოლოგიური დისციპლინა. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შინაგანი რეზერვების გამოვლინებას. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ წლების მანძილზე ჩამორჩენილი თბილისის კამოლური დართვის ფაბრიკა, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატი, სადაც ჩვენ მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ არამარტო მთლიანი პროდუქციის რეალიზაციაში, არამედ ნატურალური პროდუქციის გასაღებისა და წარმოების დავალებათა შესრულებაშიც.

წლეულს ძალიან რთული ამოცანების წინაშე ვდგავართ. უნდა ვაწარმოოთ მილიარდ 488 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს 3 მილიონ 800 ათასი მანეთით აღემატება ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულს. მე თავიდან არ მითქვამს, მაგრამ ახლა დავსძენ: როცა ხუთწლედის გეგმის დამტკიცების დროს ზრდის ასეთი ტემპი განსაზღვრა, ჩვენ საჭირო თანხის ნახევარიც ვერ მოგვცეს. ფაქტობრივად გეგმის შესრულება რესპუბლიკის მსუბუქმა მრეწველობამ უნდა უზრუნველყოს არსებული საწარმოო სიმძლავრეების ხარჯზე შინაგანი რეზერვების გამონახვის გზით. ჩვენ რომ გათვალისწინებული ოცდახუთი ობიექტი აგვეშენებინა, სამი-სოდ 350 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება დაგვჭირდებოდა. ჯერჯერობით გამოგვიყვეს მხოლოდ 117 მილიონი მანეთი. გარდა ამისა გადაიწია მშენებლობის ვადებმა. ამ გადიდებული პროგრამის შესასრულებლად ბევრი საწარმოო ფილიალი გავხსენით. ეს კი როგორც შემკვეთებს, ისე შემსრულებლებს ავალებს, მე მხედველობაში მყავს მშენებლობის სამინისტრო, მესამე კვარტალში უზრუნველყოს თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ახალი სიმძლავრეების ამოქმედება.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ განვახორციელეთ ამ ხუთწლედში გორის ბამბეულის კომბინატის გენერალური ტექნიკური განახლება, რასაც 70 მილიონი მანეთი მაინც დასჭირდებოდა.

ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს საკუთარი ძალებით გავაფართოოთ ცალკეული საწარმოები, ავამოქმედოთ ახალი სიმძლავრეები.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს, როგორც ამას ხაზი გაეწვა ახლახან გამართულ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, წლის პირველი დღეებიდანვე მთელი ძალებით ვიბრძოლოთ წარმოების მოცულობის ზრდის დაგეგმილი მაჩვენებლების წარმატებით შესრულებისათვის, მაღალი შედეგებით დავამთავროთ მეათე ხუთწლედით გათვალისწინებული პროგრამა.

ბ. გამცემლიძე,
საქართველოს სსრ ფსუბუქი მრეწველობის მინისტრი.

არ დავუშვებთ ჩამორჩენას



მეათე ხუთწლედის გასული, მეოთხე სამეურნეო წელი თვალსაჩინო საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა დედაქალაქის გრეხილი ავეჯის კომბინატის კოლექტივმა.

სურათზე: გრეხილ-წებლი ავეჯის საამქროს მოწინავე მუშა შალვა ინაკაძე ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით — 140-150 პროცენტით ასრულებს.

ჯ. ლომაძის ფოტო.



ვანის რაიონის ბევრ მეურნეობაში მექანიზატორები შეუდგნენ ხვნას.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამოცანები ნათელია — შეკასრულებთ

დადგა ახალი, ხუთწლედის დამამთავრებელი, დამკვრელური მუშაობის წელი, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წელი, სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელი.

ჩვენ ცოდი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით როდი შევხვდით 1980 წელს. შარშან რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა გამოუშვეს ათობით მილიონი მანეთის ზედგეგმითი პროდუქცია და მკვეთრად გაუუმჯობესეს მისი ხარისხი.

თუ მიმდინარე ხუთწლედის პირველ წელს შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე პროდუქციის მატების მხოლოდ 50 პროცენტი მოდიოდა, შარშან ამ ციფრმა 98 პროცენტს მიაღწია. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყნის კვების მრეწველობაში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჩვენს სისტემაში მომუშავეთა საშუალო წლიური ხელფასი ახლა არა თუ გაუტოლდა დარგის საკავშირო მაჩვენებელს, არამედ გადაჭარბა კიდეც მას.

წარმატებებია მოპოვებული მთელი რიგი სხვა მაჩვენებლების მიხედვითაც. საგრძნობლად შემცირდა დროის დანაკარგები, მუშათა დენადობა, მოგვაღწია შრომის ნორმირების საკითხები. ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით, მაგალითად, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საწარმოებში მომუშავეთა 50 პროცენტი შრომობდა, ხოლო შარშან — 80 პროცენტი. ახლა ჩვენ სრულად ვიყენებთ მატერიალური სტიმულირების ფონდებს, სამინისტროს 162 საწარმოში ორგანიზებულია შეღავათიანი კვება, რაზეც წლეულად ერთი მილიონი მანეთი იხარჯება.

ჩვენი მიღწევები მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მთლიანად და კერძოდ შარშან, მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს სრულებითაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. ნაკლოვანებები ჯერჯერობით ბევრი გვაქვს და მთელი ძალ-ღონით ვიბრძოლებთ მათ დასაძლევად. სწორედ ჩვენს ამ ნაკლოვანებებზე იყო ლაპარაკი ამხ. ე. ა. შევარდნაძის გამოსვლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც გასული წლის 28 დეკემბერს გაიმართა.

ახლახან გამართული საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ არ უნდა განმეორდეს ის, რაც მოხდა შარშან პირველ კვარტალში, განსაკუთრებით იანვარში, როცა მნიშვნელოვნად გაუარესდა მრეწველობის მუშაობის მაჩვენებლები, რისი ზღვევინებაც შემდეგში მთელი წლის განმავლობაში მოგვიხდა. მართალია, ჩვენთან შარშან პირველ კვარტალში მთლიანად წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი დაგეგმილზე სწრაფი იყო, მაგრამ კერძოდ იანვარში საგრძნობლად ჩამოვრჩით. წელს შევეცადეთ თადარიგი დაგეგეჭირა და ვიმედოვნებთ, თავი დავაღწიოთ ასეთ არასასიამოვნო მოვლენას.

ყველაფერს ვიღონებთ, რათა ზრდის ტემპი სტაბილური იყოს წლის ყველა თვეში და კვარტალში.

ჩვენ გაგვაკრიტიკეს აგრეთვე სახელშეკრულებო დისციპლინის შეუსრულებლობისათვის, და სრულად სამართლიანადაც. ეს უპირველესად ჩვენი მოუქნელი მუშაობის ბრალია, თუმცაღა სუბიექტური მიზეზების გარდა ობიექტურიც ეოტა როდია.

გულისტკივილით ვიგონებთ, მაგალითად, იმ ფაქტს, რომ შარშან ჩაის შესაფუთავად თავის დროზე ვერ ვიღებდით ფანერას და მომხმარებელს ვუგვიანებდით პროდუქციის მიწოდებას. დღეს ყველამ უნდა შეიგნოს, რომ სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა საწარმოს კარგი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი გახდა. ამაზე მიგვითითებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

ჩვენი მიზანია, ამ მიმართულებით სულ მოკლე ხანში არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო არ იყოს, და ყველაფერს ვიღონებთ ამისათვის. სახელმწიფო გეგმა შესრულებულად რომ ჩაითვალოს, უნდა დავიცვათ პირობა, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, თუ რა კონკრეტულ წვლილს შეიტანთ საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევაში.

მუშაობის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებაში დიდ როლს ვანიჭებთ კონტაქტებს მეცნიერებასთან. აშკამად სამინისტროს შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს ბევრ სამეცნიერო-კვლევითსა და სასწავლო ინსტიტუტების კოლექტივებთან.

წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვაკად ყოველწლიურად ორ მილიონ მანეთს ვხარჯავთ. მარტო შარშან მეცნიერებთან თანამშრომლობის შედეგად 3.200 ათასი მანეთის ეკონომიკური ეფექტი მივიღეთ. ეს მაჩვენებელი წლეულს უფრო მეტად გადიდდება და საშუალებას მოგვცემს თადარიგი დავიჭიროთ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

ხუთწლედის განვლილ პერიოდში ანალი ტექნიკის შესაძენად სამინისტრომ 30 მილიონი მანეთი დახარჯა, რამაც ხუთი პროცენტით განაპირობა შრომის ნაყოფიერების ზრდა. ამ მაჩვენებლის შემდგომ ამაღლებაში შიდასაქარხნო ტრანსპორტირების დონის ზრდა უნდა დაგვეხმაროს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საქმის ვითარება სახარბიელო არ არის, ხელის შრომის ხვედრითი წილი ჯერ კიდევ დიდია. საწარმოებში მომუშავეთა 60 პროცენტი დასაქმებულია ტვირთზიდვაზე.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ეს პრობლემა რაც შეიძლება მალე მოიხსნას დღის წესრიგიდან. განვითარებულ სასაწყობო მეურნეობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუ ეს უმნიშვნელოვანესი უბანი დროის მოთხოვნას შეესაბამება, წარმოების მუშაობის შედეგები უფრო დამაჯერებელი გახდება. კარგი იქნება, თუ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“ და ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა, რომლებიც ელექტროკარებსა და ელექტროშტაბელერებს უშვებენ, ჩვენც მოგვაწვდიან თავიანთი პროდუქციის. ეს დიდად დაგვეხმარება ჩვენ წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. იქნებ, მიზანშეწონილი ყოფილიყო, რესპუბლიკის რომელიმე ორგანიზაციას ეკისრა დანადგარების გამოშვება შიდასაქარხნო ტრანსპორტირებისათვის?

როგორც საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, 1980 წელს უნდა მივაღწიოთ მრეწველობის პროდუქციის აბსოლუტურ მატებას 690 მილიონ მანეთამდე, რაც შეადგენს სამრეწველო წარმოების უდიდეს მატებას, როგორიც კი ოდესმე გვქონია. ეს რთული, მაგრამ რეალური ამოცანაა.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე დებულებებითა და დასკვნებით, კვების მრეწველობის მუშაკები მზად არიან წარმატებით გადაწყვიტონ ეს ამოცანა.

რ. კონცელიძე,
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი.

იქმნება ზღვა მთებში

მდინარე პატარა ლიახვზე ზონიერის წყალსაცავის მშენებლებმა ერთი ერთი შრომითი წარმატება მოიპოვეს. კაშხალის სიმაღლემ უკვე 50 მეტრს მიაღწია, საპროექტო სიმაღლე კი 81 მეტრია. მომავალი ენიკალური რთული საინჟინრო ჰიდროტექნიკური ნაგებობის ტევადობა 44 მილიონი კუბური მეტრი წყალი იქნება, წყალსაცავის სარკის ფართობი კი 145 ჰექტარი. მთის ზღვა მორწყავს სამხრეთ ოსეთისა და ქართლის მეურნეობათა 78 ათას ჰექტარ მიწას; აქ გაშენდება ბაღები, ვენახები, ბამბინდება საძოვრები, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები. მშენებელთა წარმატებები თავდადებული შრომის, დიდი ოსტატობის, მძლავრი ტექნიკის უნარიანი გამოყენების შედეგია. (საქინფორმი).

სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების პატრიოტული საქმენი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიხილა სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების 1979 წლის ზაფხულის მუშაობის შედეგები და დასახა 1980 წლის ზაფხულის სამუშაოთა წარმატებით ორგანიზაციის ღონისძიებანი.

აღინიშნა, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროებმა, საქართველოს სსრ პროფესიონულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს პროფსაბჭომ, რესპუბლიკის დარგობრივმა სამინისტროებმა და უწყებებმა, პარტიისა და კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, რესპუბლიკის სასწავლებლებისა და სამეურნეო ორგანიზაციების პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, აბორიგენელებენ სტუდენტთა რაზმების მონაწილეთა საიუბილეო სრულიად საკავშირო დათვალიერებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებაში დასახულ ამოცანებს, ორგანიზებულად ჩაატარეს სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების 1979 წლის შრომითი ზაფხული. ახალგაზრდობის ზაფხულის საშუშაოები მოსწავლეთა შრომითი, იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის, სახალხო-სამეურნეო ამოცანათა შესრულებაში მათი მონაწილეობის დიდმნიშვნელოვანი ფორმა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვის კარგი სკოლა გახდა. ისინი ხელს უწყობს მოსწავლე ახალგაზრდობის ორგანიზატორული და პროფესიული ჩვევების განვითარებას, მეგობრობის, კოლექტივიზმის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობის გაღრმავებას, სკკპ XXV ყრილობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული გრანდიოზული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზაციაში მის მონაწილეობას.

1979 წელს რაზმების დაკომპლექტება დროულად დაიწყო ინდივიდუალური შერჩევის საფუძველზე, რაზმების ხელმძღვანელებად არჩევდნენ და ნიშნავდნენ გამოცდილ ადამიანებს.

1979 წლის ზაფხულში სტუდენტთა რაზმებში შრომობდა 15280 კაცი, ამასთან 4840-წევრიანი სამშენებლო რაზმები და 8000-წევრიანი არასამშენებლო მიმართულების რაზმები მუშაობდნენ რესპუბლიკის ობიექტებზე, კერძოდ, მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების ობიექტებზე, ენერგიის პიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, კვების მრეწველობის, ვაჭრობის სამინისტროების საწარმოებში, ამიერკავკასიის რკინიგზაზე, კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში და ა. შ. 2440-წევრიანი სტუდენტთა სამშენებლო რაზმი მუშაობდა ქვეყნის სხვადასხვა მხარისა და ოლქის სამშენებლო ობიექტებზე, ხოლო ოთხი ინტერნაციონალური რაზმის შემადგენლობაში მყოფი 65 სტუდენტი მუშაობდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. სულ კი მესერთმეტეულია 1978 წელთან შედარებით 2 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სამუშაოები.

ზაფხულის სამუშაოების დროს 7.075 შრომითს გაერთიანებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 2.640 ზოგადსაგანმანათლებელი სკოლის 220 ათასი უფროსკლასელი. შეიქმნა 420 შრომისა და დასვენების ბანაკი, რომლებშიც გაერთიანებული იყო 19,1 ათასი მოსწავლე, მათ შორის 5.576 კაცი იყო სტაციონარული ტიპის ბანაკებში. უფროსკლასელთა ძალებით 1979 წელს შესრულდა 37,22 მილიონი მანეთის სამუშაოები.

სტუდენტთა რაზმებმა გასწიეს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, რომელიც მიმდინარეობდა სრულიად საკავშირო სტუდენტთა სამშენებლო რაზმის მე-20 წლისთავის ღირსეული აღნიშვნის ნიშნით.

დადებითთან ერთად, რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი ზაფხულის ორგანიზაციაში იყო ნაკლოვანებანიც. ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ, მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა არ გამოიჩინეს სათანადო დაინტერესება სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით, ჯეროვნად არ მოემზადნენ მათი მიღებისათვის, არ უზრუნველყვეს ისინი სამუშაოთა ფრონტით, საშენი მასალებით, ინსტრუმენტებით, არ შეუქმნეს ნორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები.

მთელ რიგ შემთხვევებში, სამეურნეო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვადასხვა სახეობის სამუშაოთა მიცემის ნაცვლად, რაზმებს იყენებდნენ დამხმარე სამუშაოებზე (სამშენებლო მოედნების დასუფთავებაზე, საშენი მასალების დაცალზე, მიწის სამუშაოებზე და სხვ). ჯერ კიდევ შედარებით დაბალია სტუდენტთა რაზმების მუშაობის ეფექტიანობა რესპუბლიკურ ობიექტებზე, აგრეთვე საშუალო ხელფასი.

იყო დარღვევები რაზმების შემადგენლობაში ჩარიცხვისას სტუდენტთა სამედიცინო შემოწმების დროს. სტუდენტთა რაზმები მთლიანად არ ყოფილა უზრუნველყოფილი მედიკამენტებითა და სამედიცინო ინსტრუმენტებით, შესაბამისი სამედიცინო კადრებით.

საქართველოს კომპარტიის ზოგიერთმა საქალაქო და რაიონულმა კომიტეტმა პასიურობა და უყურადღებობა გამოიჩინა სტუდენტთა რაზმების მუშაობის ორგანიზაციაში, დახმარება არ გაუწია მათ სიძნელეთა დაძლევაში, პოლიტიკურ-აღმზრდელობითს და კულტურულ-მასობრივ მუშაობაში.

ჯერ კიდევ არ იქმნება საკმაო რაოდენობის სპეციალიზებული სტუდენტთა რაზმები, რომელთა მუშაობა შეესაბამება იმ პრაქტიკულ საქმეებს, რომელიც ეროვნული ეკონომიკური ეფექტი, ცოტაა სპეციალიზებული სტუდენტთა სამეცნიერო-საწარმოო და საკონსტრუქტორო ქვეგანყოფები „თვითონ ვაპროექტებთ — თვითონ ვაშენებთ“ და სხვ. რესპუბლიკაში მოსწავლეთა შრომითი გაერთიანებების ხელმძღვანელებად არ ინიშნებიან სტუდენტები და არც სკოლების პედაგოგები. ნაკლები ყურადღება ეთმობა უმაღლეს სასწავლებლებსა და საწარმოებს და სამეურნეო ორგანიზაციებს შორის გრძელვადიან ხელშეკრულებათა დადებას ზაფხულის პერიოდში სამუშაოთა შესრულებისათვის.

რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები ჯეროვნად არ ზრუნავენ, რათა უზრუნველყონ სტუდენტთა რაზმების წევრთა სისტემატური პროფესიული მომზადება საზაფხულო სამუშაოებისათვის, ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ღონისძიებას ეკიდებიან როგორც სეზონურ კამპანიას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებს, თუ რა პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მის გადამწყვეტ როლს სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდასა და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში, მისი პროფესიული ჩვევებისა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ფორმირებაში, და 1980 წლის ზაფხულში სტუდენტთა და უფროსკლასელთა წარმატებული მუშაობის ორგანიზაციის მიზნით, დაავალა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს პროფსაბჭოს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, განათლების სამინისტროს, პროფესიონულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიებს, სამეურნეო ორგანიზაციებს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიონულ-ტექნიკური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ალმოფხვრან მათს საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი; სამუშაოთა წარმოების დროს ზუსტად დაიცვან უსაფრთხოების ტექნიკის წესები, დაიცვან შრომისა და დასვენების რეჟიმი, მოაგვარონ საჭირო სანიტარიულ-ჰიგიენური და საბინაო-საყოფაცხოვრები პირობები სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდობასთან იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითს მუშაობას, მისი მაღალი პოლიტიკური და ზნეობრივი თვისებების, აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას, ამხანაგობისა და მეგობრობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობის გაღრმავებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი დადგენილებით გათვალისწინა მთელი რიგი სხვა ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია 1980 წელს სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ხაზს უსვამს, თუ რა დიდი სახალხო-სამეურნეო, სახელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა საზაფხულო სამუშაოებს, გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს კომპარტიის სალოქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სასწავლებლების, საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, მათი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები 1980 წელს მოსწავლე ახალგაზრდობის საზაფხულო მუშაობას მოაწყობენ და შეასრულებენ მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრების, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრის ნიშნით. (საქინფორმი).

ინფორმაციის საშუალებათა სოფლის თემა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები, სასოფლო-სამეურნეო მიმართულების სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ო. ვარძელაშვილმა ჟურნალისტებს გააცნო ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა უნდა გადაწყვიტონ მეათე ხუთწლედის დამთავრებელ წელს და პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკების როლი ამ ამოცანათა გადაწყვეტის საქმეში.

თათბირზე გამოვიდნენ „საქსახსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე დ. სარიშვილი, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კაჭარავა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების მმართველი დ. მაღალაშვილი, საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი შ. ჭანუყვაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. ყიფიანი, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. გიგაური, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. გადელია, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კვეზაძე, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. ჯანჯღავა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. კადენეცი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველი მოადგილე გ. ნაჭყებია, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი მ. დავითაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ქარუმიძემ.

(საქინფორმი).

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

ჩვენს ქვეყანაში დაიწყო საოლქო წინასაარჩევნო თათბირები

მაღალი პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში დაიწყო ჩვენს ქვეყანაში საოლქო წინასაარჩევნო თათბირები.

თათბირის მონაწილენი — საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები — ერთხმულად უჭერენ მხარს ლენინური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ისინი აცხადებენ, რომ საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ამრავლოს მეცადინეობა სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომ ისწრაფვის დირსეულად შეხვდეს 3. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, ხუთწლედის დამამთავრებელი წელი გადააქციოს დამკვრელური მუშაობის, ლენინური მუშაობის წლად.

საოლქო თათბირებზე მხურვალედ უჭერენ მხარს მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დეპუტატობის კანდიდატებს — კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის დირსეულ წარმომადგენლებს.

ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა ადამიანების მონოლითური შეკავშირების შთამბეჭდავ დემონსტრაციად გადაიქცა მოსკოვის **ბაუმანის** საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი, რომელიც 3 იანვარს გაიმართა.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიის ბაუმანის რაიკომის მდივნები, ობისა და შრომის ვეტერანები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი.

თათბირი გახსნა სკკპ ბაუმანის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ა. კუპრეევმა.

ტრიბუნაზეა ს. თ. იუდაჩევი, ვ. დ. კალმიკოვის სახელობის საანგარიშო-საანალიზო მანქანების ქარხნის რადიოაპარატურის მარეგულირებელი.

— ჩვენი საწარმოს კოლექტივმა, — თქვა მან, — თავის კრებაზე ერთსულოვნად, უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს კანდიდატად დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვედნენ ამ სიტყვებს თათბირის მონაწილენი.

— უსაზღვროა საბჭოთა ადამიანების სიყვარული და პატივისცემა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი, — თქვა შემდეგ ორატორმა. — უდიდესია ნდობა, რომლითაც იგი სარგებლობს ჩვენი სამშობლოს მშრომელებში, დედამიწის მთელ პროგრესულ ძალებში, როგორც ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობი.

ორატორმა დაწერილებით ილაპარაკა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრების გზაზე.

მან აღნიშნა, რომ დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდან ვე ლენინდ ილიას ძე ფრონტზე იყო და სრულ გამარჯვებამდე იბრძოდა, და თქვა: ნიჭიერი მხედართმთავარი და პოლიტმუშაკი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მონაწილეობდა პასუხსაგები სამხედრო ოპერაციების შემუშავებასა და განხორციელებაში, პირადი ვაჟკაცობითა და გულადობით აძლევდა მაგალითს ჯარისკაცებსა და მეთაურებს.

დიდი წვლილი შეიტანა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. მის დაუცხრომელ ენერგიას, ინიციატივას, ორგანიზატორულ ნიჭს ბევრად უნდა უმადლოდეს ჩვენი ხალხი თავის წარმატებებს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში, გამარჯვებას დიდი პურისათვის ბრძოლაში.

მრავალი წელია ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევი სათავეში უდგას სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, არის საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური, უთვალსაჩინოესი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. მას უდიდესი როლი განეკუთვნება წარმატებებში, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა უკანასკნელ ათწლეულში.

როგორც ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, იგი უდიდეს მუშაობას ეწევა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისათვის. მაგრამ, ისევე როგორც თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის, რომელმაც განიცადა ომი, თავისი თვალით ნახა, თუ რა უბედურება მოაქვს მას ადამიანებისათვის, ლენინდ ილიას ძისათვის მთავარია ბრძოლა მშვიდობისათვის; მას ახმარს იგი თავისი დიდი ადამიანური გულის მთელ მგზნებარებასა და ძალას, მთელ თავის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სიბრძნეს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნათელი ცხოვრება, მრავალმხრივი მიზანდასახული მოღვაწეობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის ნიმუშია. როცა მას ვასახელებთ დეპუტატობის კანდიდატად, თქვა ორატორმა, ამით გამოვხატავთ უღრმეს მადლიერებას ლენინდ ილიას ძისადმი საბჭოთა ადამიანების ეთილოდოობასა და ბედნიერებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის, მხურვალედ ვუჭერთ მხარს და სავსებით ვიწონებთ მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულ, შორსმჭვრეტელურ პოლიტიკას.

ქარხნის კოლექტივის სახელით ს. თ. იუდაჩევმა თათბირის მონაწილეებს მიმართა წინადადებით — მხარი დაუჭიროთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დასახელებას რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ბაუმანის საარჩევნო ოლქში.

თათბირზე გამოვიდნენ მოსკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის რექტორი ნ. ი. ბასოვი, ავტოსატრაქტორო ელექტროაპარატურის ქარხნის აწყობი ზეინალი ნ. პ. გუსკოვა, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს პარტკომის მდივანი ვ. გ. ნაგაევი, № 346 საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ა. მაცნევა, სრულიად საკავშირო აკკკ ბაუმანის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ა. პოსპელოვი. ყველამ მხურვალედ დაუჭირა მხარი წინადადებას რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დასახელების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა თხოვნით მმართეს **ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს** დათანხმდეს კენჭი იყაროს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქში.

გაიმართა ქალაქ მოსკოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საიუბილეო წინასაარჩევნო თათბირი. მისმა მონაწილეებმა ამომრჩევლებს მოუწოდეს მხარი დაუჭირონ მეორე საათის ქარხნის, საკონდიტრო ფაბრიკის „ბოლშევიკისა“ და მშრომელთა სხვა კოლექტივების წინასაარჩევნო კრებების ერთსულოვან გადაწყვეტილებებს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის დასახელების შესახებ.

ფაბრიკა „ბოლშევიკის“ მუშამ მ. ე. რაზდინამ თქვა, რომ საბჭოთა ადამიანები ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინს იცნობენ როგორც ნიჭიერ ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს. ყველა პოსტზე, რომელიც კი მისთვის პარტიას მიუნდია, იგი მთელ ძალ-ღონესა და სახელმწიფო და პარტიული მუშაობის უმდიდრეს გამოცდილებას ახმარს კომუნისტური მშენებლობის საქმის სამსახურს, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის პარტიის ხაზის განხორციელებას, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისა და აყვავებისათვის ზრუნვას.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ა. ნ. კოსიგინის დასახელებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ალიხის სახელობის სალოკომოტივო დეპოს მემანქანემ ნ. პ. ტალაპოვმა, მოსკოვის მთავარი არქიტექტურულ-საგეგმარებელი სამმართველოს პარტკომის მდივანმა ი. ი. კუზნეცოვმა, საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის კათედრის გამგემ მ. პ. ჩისლოკოვამ და სხვებმა.

თათბირის მონაწილეებმა სთხოვეს **ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინს** დათანხმდეს, რომ კენჭი იყაროს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ფრუნზეს საარჩევნო ოლქში. (საკვლევი).

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კლუბში დიდი პატრიოტული აღმავლობით ჩაიარა ქალაქ თბილისის № 11 ელმავალმშენებელთა საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კ. ი. ორაგველიძემ. მან აღნიშნა, რომ მომავალი არჩევნებისათვის მზადება ოლქში უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ვითარებაში მიმდინარეობს.

თბილისის საწარმო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ პარტკომის მდივანს მოადგილემ ს. მ. კაპანაძემ დამსწრეთ აცნობა, რომ საწარმოს მუშაკებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ ორგანოდ ერთსულოვნად დაასახელეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, დიდი ლენინის საქმის განმგრძობი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა სოციალისტური სამშობლოსადმი, ხალხის ინტერესებისადმი თავდადებული სამსახურის ნიმუშია.

თავიანთ წინასაარჩევნო კრებებზე, თქვა შემდეგ ორატორმა, მშრომელებმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამავე საარჩევნო ოლქში დაასახელეს საწარმოს ელექტრომექანიკოსი გ. ლ. ნაკაური, რომლებმაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ა. მეტონიძის კანდიდატურებს.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება, მოიწონონ მშრომელთა წინასაარჩევნო კრებების გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 11 **ელმავალმშენებელთა** საარჩევნო ოლქში დაასახელონ **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და **გურამ არილის ძე მეტონიძე** და მიმართეს მათ თხოვნით დათანხმდნენ კენჭი იყარონ ამ ოლქში.

თათბირზე მიიღეს მიმართვა ყველა საარჩევნო ოლქისადმი, აირჩიეს ნდობით აღჭურვილი პირები.

1980 24 თებერვალი საბჭოების არჩევნების დღე

ნდობა და დაფასება

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

რესპუბლიკაში გრძელდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებები. მათი მონაწილენი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ერთსულოვნად ასახელებენ თავიანთ წარმომადგენლებად ყველაზე ღირსეულ, ავტორიტეტიან ადამიანებს, რომლებსაც უნარი შესწევთ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ემსახურონ ხალხის ინტერესებს.

თბილისი. სოციალისტური შრომის მგირი, თბილისის № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი **ვახტანგ რუბენის ძე ემნაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 16 გლდანის საარჩევნო ოლქში დაასახელა ამ საწარმოს კოლექტივის საერთო კრებამ.

თბილისის № 1 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 1 ბენდელიანის საარჩევნო ოლქში დაასახელეს მოწინავე მემონტაჟე **აზიზ აფოს ძე ბაგიროვი.**

სოხუმი. აფხაზეთის გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 361 ლაკობას საარჩევნო ოლქში დაასახელა უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი **ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე.**

ჭიათურა. სვერის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ჭიათურის № 245 სვერის საარჩევნო ოლქში დაასახელოს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **ნოდარ აკაკის ძე მეძმარიაშვილი.**

წყალტუბო. სოფელ ზონეთის კოლმეურნეობაში გამართულმა წინასაარჩევნო კრებამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ წყალტუბოს № 276 ოფურჩხეთის საარჩევნო ოლქში დაასახელოს მეურნეობის მოწინავე მეჩაიე **ზაირა ფაჩუას ასული ჯანგაფაძე.**

✦✦✦

გრძელდება საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში თავიანთ წარმომადგენლებად ასახელებენ ყველაზე ღირსეულთ — ავტონომიურ რესპუბლიკათა და ოლქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ მუშაკებს.

აფხაზეთის სსრ. ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ტყვარჩელის № 33 ჭანბას საარჩევნო ოლქში დაასახელეს ქვანახშირის მამდიდრებელი მეაპარატე **ნიურა რაპის ასული მარშანია.**

სოფელ ლიხნის პარტიის XXIV ყრილობის სახელობის მეურნეობის მეჩაიეობის საბჭოთა ადამიანების სიყვარული და პატივისცემა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი, — თქვა შემდეგ ორატორმა. — უდიდესია ნდობა, რომლითაც იგი სარგებლობს ჩვენი სამშობლოს მშრომელებში, დედამიწის მთელ პროგრესულ ძალებში, როგორც ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობი.

ორატორმა დაწერილებით ილაპარაკა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრების გზაზე.

მან აღნიშნა, რომ დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ლენინდ ილიას ძე ფრონტზე იყო და სრულ გამარჯვებამდე იბრძოდა, და თქვა: ნიჭიერი მხედართმთავარი და პოლიტმუშაკი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მონაწილეობდა პასუხსაგები სამხედრო ოპერაციების შემუშავებასა და განხორციელებაში, პირადი ვაჟკაცობითა და გულადობით აძლევდა მაგალითს ჯარისკაცებსა და მეთაურებს.

დიდი წვლილი შეიტანა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში. მის დაუცხრომელ ენერგიას, ინიციატივას, ორგანიზატორულ ნიჭს ბევრად უნდა უმადლოდეს ჩვენი ხალხი თავის წარმატებებს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში, გამარჯვებას დიდი პურისათვის ბრძოლაში.

მრავალი წელია ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევი სათავეში უდგას სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, არის საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური, უთვალსაჩინოესი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. მას უდიდესი როლი განეკუთვნება წარმატებებში, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა უკანასკნელ ათწლეულში.

როგორც

საერთაშორისო ცხოვრება
ტელეტაიპის ჩანაწერებიდან

მეცხოველეთა ზამთრის საზრუნავი

საქართველოს მეცხოველეობა გულდასმით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ და იკისრეს გადიდებული ვალდებულებები.

მათ შორის არიან დუშეთის რაიონის მლეთის, სამტრედიის, ზანის, დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობები, ლენტეხის საბჭოთა მეურნეობისა და ხაშურის რაიონის ალის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები.

ვლეთელები:

სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს სანიმუშოდ გამოაზამთრონ 24.400 სული ცხვარი, ათასი სული საქონელი, თითოეულ ფურზე მიიღონ 1.500 კილოგრამი რძე, ერთ ცხვარზე — 2,5 კილოგრამი მატყლი, სახელმწიფოს გვიმის გადამეტებით მიჰყიდონ 300 ტონა ბორკი, 20 ტონა რძე და 10 ცენტნერი მატყლი.

მეურნეობის სარქალმა სოციალისტური შრომის გმირმა ყარამან გაგაძემ იკისრა ყოველ 100 ნერგზე მიიღოს და გამოზარდოს 95 ბატკანი, თითოეულ ცხვარზე გაპარსოს 2,6 კილოგრამი მატყლი; მწველავმა კომკავშირელმა აზა ბორდულმა პირობა დადო საშუალოდ ფურზე 1200 კილოგრამის ნაცვლად მიიღოს 1.600 კილოგრამი რძე.

დიდიჯიხაიშელები:

სოფელ დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მეცხოველეები ფართოდ ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს აწარმოონ 4.982 ცენტნერი რძე, 177 ცენტნერი ხორცი. სახელმწიფოს მიჰყიდონ 161 ცენტნერი ხორცი და 330 ცენტნერი რძე. პირუტყვის კარგი მოვლა-პატრონობისა და კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებით სახელმწიფოსათვის მიყიდული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წონას გაზრდიან 350 კილოგრამამდე, ღორისას — 140 კილოგრამამდე.

მსხვილფეხა პირუტყვის სადღეღამისო წონა-მატება გაიზრდება 450 გრამამდე 300 გრამის ნაცვლად, ღორისა — 550 გრამამდე 400 გრამის ნაცვლად.

უფრო გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მოწინავე მეცხოველეებმა იზოლინა აბზიანიძემ და ნინო საღარეიშვილმა.

ლენგეხში ასე ზრუნავენ პირუტყვისათვის

ლენტეხის რაიონში კარგა ხანია პირუტყვი ბაგურ კვებაზე გადაიყვანეს და სოფლის მშრომელთა უმთავრესი საზრუნავი ახლა ის გახდა, რომ ზამთარშიც შეინარჩუნონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტემპი.

— ამჟამად რაიონის მეცხოველეობის ხუთ საბჭოთა მეურნეობას 17 ათასი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავს, — გვითხრა პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. გუნავამ.—წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა აქაური პირუტყვს მუსრს ავლებდა საკვების სიმცირე, ცუდი ვეტერინარული მომსახურება, მთის ნადირი და უბინაობა. ახლა მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. რაიონის ეკონომიკის აღმავლობისათვის განსორციელებულმა რადიკალურმა ღონისძიებებმა, ეკონომიკურად სუსტი საზოგადოებრივი მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ამჟამდინდა პრაქტიკულმა დახმარებამ დიდი სასიკეთო კვალი დაჩნია რაიონის მეცხოველეობას. იმატა ხორცისა და რძის წარმოებამ, თითოეული ფურის წველადობამ, მკვეთრად შემცირდა პირუტყვის გაწყვიტა. შარშან 9 თვეში რაიონის ფერმებში მხოლოდ 70 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი დაიკლა იძულებით, ეს საზოგადოებრივი ჯოგის სულადობის 0,1 პროცენტია და შესაბამის საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე ათჯერ ნაკლებია.

პირუტყვის სულადობის და ნამატის შენარჩუნების საქმეში ასეთი წარმატება იმის შედეგია, რომ რაიონში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მიუხედავად ამისა, საქონელი ჯერ კიდევ იკვლება იძულებით. ავად უმთავრესად მოზარდეული ხდება, ვინაიდან ზოგ ფერმაში სათანადოდ არ იცავენ ჰიგიენურ წესებს, დაბალ დონეზეა ზოოვეტერინარული მომსახურება. ამ მიზეზით ჩიხარეშის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში შარშანწინ ბევრი ხბო გაწყდა.

ჩიხარეშის ეს ფაქტი ჩქეის სასწავლებელი აღმოჩნდა ყველა მეურნეობისათვის. ახლა ყველა ფერმაში ხბოებისათვის საუკეთესო საძოვრებია გამოყოფილი, უზრუნველყოფილი არიან კომბინირებული საკვებითაც. თითოეულ ხბოს გამოცდილი მომვლელი მიუჩინეს, იწყობა მეცხოველეთა რაიონული შეკრებები, სადაც ხდება მოწინავე გამოცდილების განზოგადება, ახალბედა მეხბორეებს დამხმარებლად ფერმის ნოვატორი მუშაკები ჰყავთ.

ერთ-ერთი მათგანია თალიკო დევდარიანი. იგი ცხრამეტი წელია ზამთარ-ზაფხულ ჯახუნდრის საბჭოთა მეურნეობის ალუფურ ზონის ფერმაში მუშობს და ჩინებულად უვლის 18 ძროხას. ამას ისიც მოწმობს, რომ მიჩენილ 18 ძროხაზე 19 ხბო მიიღო და გამოზარდა.

ნოვატორ მეცხოველეს ხშირად ნახავთ სასაშუ, ჩუკულოსა და ქალადაფის ფერმებში, სადაც ახალგაზრდა თანამოსაქმეებს გულმოდგინედ უზიარებს თავის გამოცდილებას.

თ. დევდარიანს დამრიგებლობაში ტოლს არ უდებენ წარჩინებული მეცხოველეები ლენტეხელი ნანა ლიპარტელიანი, ჩოლურელი დეკი ზურაბიანი, ჩიხარეშელი ნუნუ გასვიანი და სხვები.

პირუტყვის მოვლა-პატრონობა ლენტეხში იმითაც გაუმჯობესდა, რომ განმტკიცდა ფერმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

— წინათ უბინობის გამო, — გვითხრა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. გაზდარაძემ, — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ერთი ნაწილი ზამთრობით მოსახლეობაში გვყავდა გადარეული, რის გამო საქონელი მოკლებული იყო ვეტერინარულ მომსახურებას და საჭირო მზრუნველობას, რამაც პირუტყვის დაავადება და სულადობის შემცირება გამოიწვია.

ახლა კი ამ მხრივ მდგომარეობა შეიცვალა. ხელედის, ჩოლურის, ჯახუნდრის და ჩიხარეშის საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვი ტიპურ კაპიტალურ სადგომებშია დაბინავებული. ახალ ფერმებში სანიმუშო სისუფთავე და წესრიგია; ნაკელის გატანა მთლიანად მექანიზებულია. ხელედის ფერმაში მოწყობილია პირუტყვის ავტომატური სარწყულებელი. ასეთი დანადგარები მონტაჟდება დანარჩენ ფერმებშიც. ბევრგან ძროხებისათვის მოწყობილია სამშობიარო-იზოლატორები, ვეტფუთიაქები, სახბორეები. განსაკუთრებული მზრუნველობა იგრძნობა ფერმის მომსახურე პერსონალისადმი, მათთვის აგებულია კეთილმოწყობილი თბილი ბინები.

რაიონში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მეცხოველეთა მატერიალური სტიმულირების საქმეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ 28 მწყემსსა და მწველავს რიგგარეშე მიეყიდათ მსუბუქი ავტომანქანები, იმპორტული ავეჯი და ტანსაცმელი. გამრჯე ადამიანებზე ასეთმა ზრუნვამ ხელი შეუწყო შრომითს აღმავლობას, შეამცირა პირუტყვის გაწყდომა.

ყოველივე ეს მეცხოველეობის წინსვლა-განვითარების ხელმეწყობი პირობაა, მაგრამ ლენტეხში რომ ყველაზე ნაკლები პირუტყვი იკვლება იძულებით, ამის მთავარი მიზეზი აქ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაა.

ორიოდე წლის წინათ ამას ლენტეხელები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რადგან ყოველწლიურად სხვა რაიონებიდან 1000-1200 ტონა ნამჯა შემოქონდათ. თითოეული ტონა ეს დაბალუფუთანაენი საკვები მეურნეობას სულ მცირე 80-90 მანეთი უჯდებოდათ.

ამ საქმეში რაიონში დიდი გარდატეხა მოხდა. მარტო შარშან კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთაში 1800 ჰექტარი ადრე გამოუყენებელი სათიბი შემოღობეს, ქვა-ღორღისაგან გაწმინდეს და ნაყოფიერ სავარგულად აქციეს. 2200 ჰექტარ სათიბში კი პირველად შეეტანეს მინერალური სასუქი. ამ გზით იოსწყის დიდძალი მოსავალი მიიღეს მდინარე ცხენისწყლის ხეობის ცალკეულ ნაკვეთებზე.

საკვებმომპოვებელთა შრომის კარგმა ორგანიზაციამ რაიონს შესაძლებლობა მისცა ჯერ კიდევ 1 სექტემბრისათვის შეესრულებინა თვისს დამზადების წლიური გეგმა. ამჟამად ფერმებში მიტანილი და დაბინავებულია 12100 ტონა თივა, გეგმა კი 12000 ტონის დამზადებას ითვალისწინებდა.

განსაკუთრებით კარგად იმუშავა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორმა — ჩოლურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი ბ. გვიდიანი). აქ გეგმით გათვალისწინებული 3119 ტონის ნაცვლად 3412 ტონა თივა დაამზადეს.

გეგმაზე მეტი დამზადდა სენაჟიც. სასენაჟე ორმოები სულ პირველად ალუურ ზონაში მდებარე ფერმების ტერიტორიაზე გაკეთდა. ახლა საზოგადოებრივი პირუტყვისათვის რაიონში 2000 ტონა სენაჟია დამზადებული, რაც გეგმას 1000 ტონით სჭარბობს.

ბევრი რამ გაკეთდა ნალექებისაგან დაზვინული თივის დასაკავად. ამ მიზნით შარშან დამატებით 18 ფარდული აშენდა. ახლა რაიონში ღია ცის ქვეშ ერთი ზვინიც არ დგას.

ლენტეხის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრების მიზნით წინა წელთან შედარებით უხეში საკვები დაამზადეს 503 ტონით, მათ შორის თივა — 494 ტონით, სენაჟი — 201 ტონით მეტი.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1980 წლის 1 ივლისისათვის აწარმოებენ 5 ტონით მეტ რძეს და 3 ტონით მეტ ხორცს. სახელმწიფოს მიეყიდება 8 ტონით მეტი ხორცი. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადღეღამისო წონა-მატება გასულ წელთან შედარებით გაიზრდება 15 გრამით, ღორისა — 20 გრამით.

ერთი სიტყვით, ლენტეხელები ყველაფერს ღონობენ იმისათვის, რომ რაიონში მნიშვნელოვნად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ფ. ციბერკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ლენინის იუბილეს წელს

პრაღა, 3 იანვარი. პრაღის პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ „სვობოდამ“ ჩეხურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ახალი, 55-ტომიანი სრული კრებულის პირველი ტომი. მომდინარე წელს, როცა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი აღინიშნება გამომცემლობა ლენინის ნაშრომების კიდევ სამ ტომს გამოუშვებს.

იუბილესათვის მზადებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ჩვენი კოლექტივის მუშაობაში, თქვა საკავშირო კორესპონდენტებისთვის მიცემულ ინტერვიუში გამომცემლობა „სვობოდას“ დირექტორმა ე. პოლონსკიმ. წელს გამოვა ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ოთხტომეული, ლენინის ნაშრომებისა და მისი ცალკეული სტატიების რამდენიმე თემატური კრებული.

საბჭოთა გამომცემლობა „პლანეტასთან“ თანამშრომლობის შესაბამისად აპრილში გამოვა ვ. ი. ლენინის ფოტოსურათების ალბომი.

ღირსშესანიშნავი წლისთავისათვის მზადების შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია იმ წიგნებისა და გამოცემების გამოშვება, რომლებიც კიდევ უფრო ავითარებენ ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას.

ახლა მთავრდება მზადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი ბრეჟნევის გამოსვლებისა და სტატიების შეიქვსეტომის გამოცემისათვის. უახლოეს მომავალში გამოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სუსლოვის რჩეული გამოსვლებისა და სტატიების კრებული, აგრეთვე დოკუმენტების კრებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის შესახებ“.

1980 წელს „სვობოდა“ გამოსცემს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მდივნის ვ. ბილიაკის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულებს.

გამომცემლობის გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა რეალური სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ პრობლემებს. გამოვა ამ თემებისადმი მიძღვნილი ჩეხოსლოვაკიელი და საბჭოთა მეცნიერების რამდენიმე ათეული წიგნი და სტატიების კრებული, განაცხადა ე. პოლონსკიმ.

ვითარდება კულტურული ურთიერთობა

ბონი, 3 იანვარი. გასულ წელს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურული ურთიერთობა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თეატრალური სეზონის თვალსაჩინო მოვლენა გახდა სპექტაკლი თ. მ. დოსტოევსკის რომანის „იდიოტის“ მიხედვით, რომელიც ჰამბურგის თეატრის „ტალიას“ სცენაზე ლენინგრადის მ. გორკის სახელობის აკადემიური დიდი თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ტოვსტონოგოვმა დადგა.

დიუსელდორფის თეატრის სცენაზე გაიმართა ა. ნ. ოსტროვსკის „ომეფიის „შვიდი ფულის“ პრემიერა. იგი დადგა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორმა რ. სტურუამ.

სამ თვეს მოგზაურობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებში გამოფენა „ანტონ ჩეხოვი — ცხოვრება და შემოქმედება“.

ტრადიციული გახდა საბჭოთა კინემატოგრაფისტების მონაწილეობა საერთაშორისო კინოფესტივალებში, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობა დასავლეთ გერმანიის ქალაქებში მანჰაიმსა და ობერჰაუზენში.

უდიდესი ინტერესი გამოიწვია ს. ეიზენშტეინის ფილმმა „გაუმარჯოს მექსიკას!“.

სპეპარატისტები გააქტიურდნენ

დელი, 3 იანვარი, (სკკდესი). უკანასკნელ ხანს გამწვავდა ვითარება ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის შტატებსა და მოკავშირე ტერიტორიებზე, სადაც არ წყდება შეიარაღებულ სპარატისტთა ძირგამომთხრელი მოქმედება, წერს ინდოეთის პრესა.

მეამბოხეებმა თავიანთ მიზნად აშკარად გამოაცხადეს ამ განაპირა რაიონების ინდოეთისაგან გამოყოფა, წერს გაზეთი „დეკან ჰერალდი“. მეგჰალაიას შტატში თავდასხმების ობიექტად ქხასისა და გაროს ტომების ტერორისტებმა აირჩიეს აქ მცხოვრები ინდოეთის სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. უკანასკნელი დროის მანძილზე ექსტრემისტებმა დახოცეს შტატის საკანონმდებლო კრების ორი წევრი, რამდენიმე სახელმწიფო მოხელე, გაძარცვეს მაღაზიები შილონგსა და შტატის სხვა ქალაქებში. სულ ოქტომბრის დამდეგიდან დღემდე მეგჰალაიში აღირიცხა მკვლელობის, ძარცვისა და ცეცხლის წაკიდების 350-ზე მეტი შემთხვევა.

სეპარატისტთა საქმიანობის გააქტიურების შედეგად კვლავ დაძაბული მდგომარეობაა აგრეთვე მუზორამში, მანიპურსა და ტრიპურში, აღნიშნავს გაზეთი „ჯან იუგი“.



გამარჯვებათა წელი

სოციალისტურმა კუბამ ზეიმით აღნიშნა თავისი დიდი დღესასწაული — განთავისუფლების დღე. რესპუბლიკის მშრომელები კუბის რევოლუციის გამარჯვების 21-ე წლისთავს დიდი საწარმოო წარმატებით შეხვდნენ. 1980 წელს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ცხოვრებაში — მთავრდება პირველი ხუთწლედი, რომელმაც მტკიცე საფუძველი უნდა ჩაუყაროს სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. რესპუბლიკის კომუნისტური პარტია, მთავრობა, მოუწოდებენ მშრომელებს ძალღონე არ დაიშურონ დასახული ამოცანების შესრულებისათვის. სოციალისტური მშენებლობის ახალ მიჯნებს დასახავს კუბის კომპარტიის II ყრილობა, რომელიც წელს გაიმართება. ითვალისწინებენ რა ამ ფორუმის დიდ მნიშვნელობას, ახალ წელს ეწოდა „მეორე პარტიული ყრილობის წელი“.



სურათზე: ჰავანის გული — ხოსე მარტის სახელობის რევოლუციის მოედანი.

ირანის ამბები

ნიუ-იორკი, თუ შეერთებული შტატების მთავრობა მიმართავს სამხედრო ჩარევას, ეკონომიკური ბლოკადას, დაშინების ტაქტიკასა და სხვა ამგვარ აქციებს და ამით ხელს შეუშლის ირანში სამართლიანობის გამარჯვებას, ახლანდელი კრიზისი არასდროს არ გადაწყდება, განაცხადა აიათოლა ხომეინიმ ამერიკელი ყოველკვირეულის „ტაიმისისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. ირანელთა რისხვა ამერიკელი ხალხის წინააღმდეგ კი არა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული, თქვა მან. როცა ირანელები ამერიკას კიცხავენ, მათ მხედველობაში ჰყავთ მთავრობა, და არა ხალხი.

აიათოლა ხომეინიმ კვლავ დაბეჯითებით მოითხოვა ყოფილი შაჰის ირანისათვის გადაცემა, „ჩვენი ხალხის სიძულვილი შაჰის მიმართ იმდენად აშკარაა, რომ კარტერს არ შეეძლო ეს არ შეემჩნია, — განაცხადა მან. — მაგრამ კარტერმა, რომელმაც აშკარად უგულებელყო ირანელთა ეროვნული გრძნობები, დამხობილ შაჰს თავშესაფარი შესთავაზა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვფიქრობ, რომ ამერიკელ ხალხსაც კი არ სჯერა კარტერის მტკიცება, თითქოს შაჰისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლის ნება ჰუმანური თვალსაზრისით მიეცათ“. შეერთებულ შტატებს ეშინია, რომ, თუ შაჰს სამართალში მისცემენ, გამოაშკარავდება ყველა ის ფაქტი, რომელთა დაფარვასაც ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატები. მთელ მსოფლიოს ეცოდინება, თუ ვინ ეხმარებოდა შაჰს დანაშაულის ჩადენაში.

შაჰის დანაშაული ენით აუწერელია, თქვა შემდეგ ხომეინიმ. მარტო მისი მმართველობის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, როცა ხალხი აღდგა მონარქიული რეჟიმის დამხობისა და ისლამური რესპუბლიკის დამყარებისათვის საბრძოლველად, ამ ბოროტმოქმედმა სიცოცხლეს გამოასალმა 60 ათასზე მეტი და დაასახიჩრა 100 ათასზე მეტი ირანელი. თავისი მმართველობის მანძილზე შაჰმა ეკონომიკურად დამოკიდებული გაგვხადა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, გააკოტრა ირანი. ჩვენი მოწყვეტილობა დასავლეთზეა დამოკიდებული, სოფლის მეურნეობა კი შაჰმა გააჩანაგა. პოლიტიკური თვალსაზრისით შაჰი ამერიკის შეერთებული შტატების ფარავტერი იყო და ირანი მჩაგვრელთა და ტირანთა ბანაკში მოაქცია.

ამჟამად კარტერი მხოლოდ იმით არის დაინტერესებული, რომ მეორე ვადით დარჩეს თეთრ სახლში. იგი მზად არის ყველაფერი იღონოს — ამერიკელთა ეროვნული ღირსებაც კი გასწროს — ოღონდ ამ მიზანს მიაღწიოს.

შემდეგ ხომეინიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თანამიმდევრულად ეხმარებოდა შაჰს ხელისუფლების შენარჩუნებაში ირანელი ხალხის წინააღმდეგობის მიუხედავად. ახლახანს ჩვენმა ხალხმა შეიტყო, თქვა მან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ამერიკის თეიერანის საელჩო ირანის წინააღმდეგ ჯაშუშობისა და არალეგალური მოქმედების ბაზად აქცია. დღემდე მიღებული სიბუეტები მოწმობენ, რომ ამერიკელი ჯაშუშები შეთქმულებებსა და შეიარაღებულ შეტაკებებს აწყობდნენ ირანის სხვადასხვა რაიონში.

თეიერანი. აქ გამოქვეყნებულია ირანის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამო ერთი თვის წინათ გამართული საერთო-სახალხო რეფერენდუმის შედეგები, კენჭისყრაში მონაწილეობდა 15 მილიონზე მეტი ირანელი. ხმების დიდი უმრავლესობით ქვეყნის ახალი ძირითადი კანონი მოწონებულია.

ამას იტყობინება ფარსის სააგენტო.

თეიერანი. ამ დღეებში ხელიგნების ჯგუფი შეეცადა პროვოკაცია მოეწყო საბჭოთა კავშირის თეიერანის საელჩოს წინააღმდეგ და შეეღწია მის ტერიტორიაზე, საელჩოს დამცველმა „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ კორპუსის წევრებმა წააძევეს ხულიგნები, რომლებმაც უარი თქვეს თავიანთი ეროვნების გამხელაზე.

როგორც ვარაუდობენ, ამ ჯგუფში იყვნენ ავღანეთიდან გამოქცეული ავღანეთის რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი პირნი.

თეიერანი. აქ ვიზიტად ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი. ირანის საინფორმაციო საგენტოს ფარსის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ვალდჰაიმმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს მასსა და ირანის ოფიციალურ პირებს შორის მოხდება აზრთა გაზიარება. იგი შეისწავლის ქვეყანაში ამჟამად არსებული ვითარების სხვადასხვა ასპექტს.

მე აქ ამერიკის მთავრობას არ გამოვუცხადებიარ, ჩამოვედი როგორც დამოუკიდებელი პირი და ჩემს ვიზიტს საერთო არა აქვს რა ირანის მიმართ ამერიკის ხელმწიფეობის პოლიტიკასთან. აიათოლა ხომეინის ვთხოვე შესაძლებლობა მოეცა ჩემთვის ჩამოვსულიყავი ირანში, და მოხარული ვარ, რომ ეს თხოვნა დაკმაყოფილა, ხაზგასმით აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა. მან თქვა აგრეთვე, რომ თავის თვალსაზრისს ირან-ამერიკის ურთიერთობის მოწესრიგების გზების შესახებ მხოლოდ ირანის ოფიციალურ პირებთან აზრთა გაზიარების შემდეგ ჩამოაყალიბებს.

თეიერანი. ისლამური რესპუბლიკის პარტიამ, რომელიც ხომეინის მომხრე 5 მილიონზე მეტ მუსლიმს აერთიანებს, მომავალი პრეზიდენტის არჩევნებში ოფიციალურ კანდიდატად დაასახელა ჯალალადინ ფარსი, თქვა სის სააგენტოს ცნობით, იგი პარტიის ცენტრალური ბიუროს ცნობილი მოღვაწე და ისლამის თეორეტიკოსია.

ნიუ-იორკი

ნიუ-იორკი დაბრკოლებას ქმნიდა ირანელ ტერრორისტებს ამერიკელ ელჩებზე ჯაშუშობისა და ტერორიზმის ბრალდებით ირანელ ელჩებზე ბრალდებულ ადამიანებზე ამერიკის ადმინისტრაციის ბოიკოტის ორგანიზებაში. ეს ბოიკოტი ირანელ ელჩებს ეკრძალებოდა ამერიკის ტერიტორიაზე ჩასვლა, ამერიკელ ბანკირებს ეკრძალებოდა ირანელ ელჩებზე ბანკოვანი ანგარიშების გახსნა, ეკრძალებოდა ირანელ ელჩებზე ბანკოვანი ანგარიშებიდან ფულის ამოღება

უპბჭლი

ნაკრებში ხუთი თბილისელია

დღეს თბილისის „დინამოს“ [illegible]ებზრთველები, რომლებიც უკ[illegible] შეუდგნენ 1980 წლის სეზო[illegible]ისათვის მზადებას, ლესელიძეს [illegible]ემგზავრებიან, სადაც 20 ივნ[illegible]ამდე დაყოფენ და საგულდა[illegible]ულოდ საწვრთნელ შეკრებას [illegible]ავენიან არგენტინაში გამგზავ[illegible]ების წინ.

გუნდში არის სიახლეები: „დი[illegible]ამოს“ კოლექტივში ქუთაისის [illegible]ტორპედოდან“ მოწვეული არ[illegible]ან ნახევარმცველი ზაურ სვანი[illegible] და თავდამსმელი ალექსანდ[illegible] კვერნაძე. გასული წლის სსრ [illegible]ავშირის თასის მფლობელს ლე[illegible]ელიძეში ტრადიციულ შეკრებ[illegible]ე არ გაჰყვება ხუთი მოთამა[illegible]ე: ოთარ გაბელია, ალექსანდრე [illegible]ივაძე, ვიტალი დარასელია, [illegible]ამაზ შენგელია და რევაზ ჩელე[illegible]აძე, რომლებიც ნაკრების უფ[illegible]ოსმა მწვრთნელმა კონსტანტ[illegible]ნე ბესკოვმა ჩვენი ქვეყნის [illegible]აკრებში მიიწვია. საბჭოთა ფი[illegible]ბურთელები სულ მალე იტალი[illegible] გაემგზავრებიან, სადაც რამდე[illegible]იმე ამხანაგური შეხვედრას გა[illegible]ართავენ.

ჰოკეი

ახალ, 1980 წელს საბჭოთა სპორტს პირველი დიდი გამარჯ[illegible]ება მოუტანეს ახალგაზრდა ჰო[illegible]ეისტებმა, რომლებიც მსოფლი[illegible]ს ჩემპიონატში ასპარეზობდ[illegible]ენ. ჩვენმა ნაკრებმა ფინალური [illegible]ურნირის ბოლო შეხვედრაში [illegible]ნგარიშით 2:1 დაამარცხა შვე[illegible]ციის ნაკრება და პირველობა [illegible]აისაკუთრა.

ახალგაზრდა ჰოკეისტთა მსოფ[illegible]

იო ჩემპიონატის ვერცხლის მე[illegible]ლები წლიად ხვდათ ფინელებს, [illegible]რინჯაოსი — შვედებს.

გ. მირიანაშვილი

გარდაიცვალა 1940 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გიორგი ნიკოლოზის ძე **მირიანაშვილი.**

გ. მირიანაშვილი დაიბადა 1920 წელს. მან დიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრების გზა განვლო როგორც კომკავშირულმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა. დიდი სამამულო ომის წლებში გ. მირიანაშვილი იყო კომკავშირულ სამუშაოზეა, 1948 წლიდან კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატშია ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ პასუხისმგებელ ორგანიზატორად.

1950 წლიდან გ. მირიანაშვილი [illegible]ერტიის ლაგოდეხის რაიკომის [illegible]ირველი მდივანია. მომდევნო [illegible]ერიოდში მას საქართველოს სსრ [illegible]ინანგან საქმეთა მინისტრის მო[illegible]დგილის პოსტი ეკავა.

1958 წელს იგი ინიშნება სსრ [illegible]ავშირის მინისტრთა საბჭოსთან [illegible]რსებული სტანდარტების, ზომა[illegible]ონისა და საზომ ხელსაწყოთა [illegible]ომიტეტის რწმუნებულად საქარ[illegible]ველოს სს რესპუბლიკაში. გ. [illegible]ირიანაშვილი ერთ-ერთი იმათ[illegible]აგანია, ვინც სათავეში ედგა დ. [illegible]ენდელეიევის სახელობის მეტრო[illegible]ოგიის საკავშირო სამეცნიე[illegible]ო-კვლევითი ინსტიტუტის თბი[illegible]ისის ფილიალის დაარსების [illegible]აქმეს და დიდი ღვაწლი დასდო [illegible]საქართველოში სტანდარტიზა[illegible]ციისა და მეტროლოგიის განვით[illegible]რებას. 1964 წლიდან 1973 წლა[illegible]დე სხვადასხვა ხელმძღვანელ [illegible]ანამდებობაზე მუშაობდა სტან[illegible]ართების სამმართველოსა და [illegible]ემოთანაღნიშნული ინსტიტუტის [illegible]ილიალში. ამასთან ეწეოდა საე[illegible]ეცნიერო და პედაგოგიურ მოღ[illegible]აწეობას.

გ. მირიანაშვილი არაერთხელ [illegible]ოფილა არჩეული საქართველ[illegible]ის კომპარტიის ცენტრალური [illegible]ომიტეტის წევრობის კანდიდა[illegible]ად, იყო საქართველოს სსრ [illegible]ესამე მოწვევის უმაღლესი საბ[illegible]ჭოს დეპუტატი, დაჯილდოებუ[illegible]ი იყო „საპატიო ნიშნის“ ორ[illegible]ენითა და მედლებით.

კომუნისტური პარტიის ერთ[illegible]ული შვილის, თავმდაბალი და [illegible]ენერგიული მუშაკის გ. მირიანა[illegible]შვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება [illegible]ბილი კოლეგების, მეგობრების [illegible]ულში.

სსრ ავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო; მეტროლოგიის საუალებათა ავტომატიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობ ის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

საქმთავარენერგო, საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, ენგურჰესის „ასკალის“ და ენერგოსელპროექტის საქართველოს განყოფილების კოლექტივები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოხუმეშის ყოფილი დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი, 1942 წლიდან სკკპ წევრი ნიკოლოზ ისიდორეს ძე ზაპთარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი ცნობარი: განცხადება, რეკლამა, ინფორმაცია

თბილისის რკინიგზის № 32 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1980 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ სექტორებზე

სასწავლებელი ამზადებს შემდეგი სპეციალობის კვალიფიციურ კადრებს:

1. **დურგლებს,**
2. **მღებავებს,**
3. **ელექტროაირშემდუღებლებს.**

სასწავლებელში მიიღებიან საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები.

სწავლის ვადა 8 თვეა, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი მიიღებენ სტიპენდიას 70-80 მანეთის ოდენობით.

ჩარიცხულ მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ კარგი აკადემიური წარმატება, მიეცემათ სტიპენდია არსებული წესის თანახმად, ხოლო ფრიადოსან მოსწავლეებს 25 პროცენტით მეტი. გარდა ამისა, ყველა მოსწავლის მიეცემა საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი.

ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭებათ თბილისელებს, საბავშვო სახლის აღზრდილებს, I და II ჯგუფის ინვალიდთა შვილებს, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულებს, საბაზო საწარმოში მომუშავეთა შვილებს (ახალგაზრდებს, რომლებსაც აგზავნიან საწარმოები).

კურსდამთავრებულები პროფესიების მიხედვით მიიღებენ ატესტატს, განაწილებული იქნებიან საბაზო ორგანიზაციის საწარმოში და მიეცემათ ხელფასი, მინიჭებული თანრიგისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მოეწყონ უმაღლესი სასწავლებლის საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე არსებული წესების საფუძველზე, ხოლო ფრიადოსან კურსდამთავრებულებს — დღის განყოფილებაზე საერთო წესით და საღამოს დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე კონკურსის გარეშე.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი მოსწავლეებს ეთვლებათ უწყვეტ შრომით სტაჟად.

სასწავლებელში მიღების შესახებ განცხადება უნდა შემოტანილთ დირექტორის სახელზე არჩეული პროფესიების ჩვენებით.

განცხადებას თან ერთვის:

1. განათლების მოწმობა (დედანი);
2. დაბადების მოწმობა (დედანი);
3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286);
4. ავტობიოგრაფია;
5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
6. 6 ფოტოსურათი (ზომით 3X4).

საწარმოს ან სხვა ორგანიზაციის მიმართვა (იმ პირებისთვის, რომლებიც იგზავნებიან სასწავლებლად).

სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარადგენენ პასპორტს, მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკი) ან სამხედრო ბილეთს (სამხედრო ვალდებულნი).

საბუთების შემოტანა და დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე დილის 9 საათიდან 17 საათამდე.

სწავლება დაიწყება 1 თებერვალს.

ჩვენი მისამართია: ქ. **თბილისი, ახალქალაქის ქ. № 2.** საქალაქო ტრანსპორტი: მეტროს სადგური „ოქტომბერი“. ავტობუსი ვაგზლის მოედნიდან — 11, 31, 62, კომუნარების ბაღიდან — 18, ტრამვაი გადასასვლელი ხიდიდან — 1, 4 და 11. ტელეფონი: 99-42-32

საქ. სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

ქ. თბილისის № 43 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1980-81 სასწავლო წლისათვის



სასწავლებელი ამზადებს მაკაცისა და ქალის ზედა ტანსაცმლის კვალიფიციურ მკერავ-მემანქანეებს.

სასწავლებელში მიიღებიან 17-დან 25 წლამდე ასაკის საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები. სწავლის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 70 მანეთი, ფრიადოსნებს — 25 პროცენტით მეტი.

გარდა ამისა, მოსწავლეებს მიეცემათ ფულადი ანაზღაურება 50 პროცენტის ოდენობით იმ სამუშაოსათვის, რომელსაც ისინი შეასრულებენ საწარმოო პროცესში სასწავლო სახელოსნოებსა და საბაზო წარმოებაში. სასწავლელს ყველა კურსდამთავრებული პროფესიის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი. სწავლის დრო ჩაითვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟად.

ტექნიკური სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს უფლება აქვს ნება დართოს კურსდამთავრებულებს (სასწავლებლის გამოშვების 10 პროცენტის ფარგლებში), რომლებსაც „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება ექნებათ ყველა საგანში და წარმატებით ჩაბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, შევიდნენ უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილების ნებისმიერ სპეციალობაზე უშუალოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (ასეთ კურსდამთავრებულებს სასწავლებელი მისცემს სპეციალურ ცნობას დამტკიცებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც ძალაშია გაცემის მომენტიდან სამი წლის განმავლობაში).

სასწავლებლის წარჩინებული კურსდამთავრებულები, რომლებიც დადებთ შეფასებას მიიღებენ გამოცდებზე, უმაღლესი სასწავლებლის საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებების მონათესავე სპეციალობებზე ჩაირიცხებიან უკონკურსოდ.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგ საბუთებთან ერთად:

1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი); 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. სამედიცინო ცნობა — ფორმა № 286; 5. ავტობიოგრაფია; 6. 6 ცალი ფოტოსურათი (3X4); 7. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან; 8. პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად).

საბუთების მიღება იწარმოებს 31 იანვრამდე (დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე კვირადღის გარდა).

სწავლა დაიწყება 1 თებერვალს.

სასწავლებლის მისამართია: ქ. **თბილისი, კამოს ქ. № 37.** (ქორწინების სახლის გვერდით). ტელეფონი: 95-60-78 ან 95-57-01, 95-57-02. დამატებით 5-92, 5-96. ტრანსპორტი: ავტობუსი — 67, 73, 40, 4, 42, 15; ტროლეიბუსი — 1, 14. სამარშრუტო ტაქსი — 14.

სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ ბაზაზე ახლად გახსნილი

ქ. თბილისის № 97 ტექნიკური სასწავლებლის ფილიალი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1980 სასწავლო წლისათვის



სასწავლებელში მიიღებიან როგორც დემობილიზებული, ასევე საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები 17-დან 25-წლამდე.

სწავლის პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას და საწარმოო პრაქტიკის გავლის დროში გამომუშავებულ თანხას საერთო წესით. ფრიადოსანი მოსწავლეები მიიღებენ გადიდებულ სტიპენდიას.

რაიონიდან ჩამოსულები შეესაძლებლობის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და დამთავრების შემდეგ მუდმივი ჩაწერით ქ. თბილისში.

სწავლის პერიოდში ვაქცინებს ეძლევათ საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის გადავადება. კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებელში და ჩარიცხვის დროს ეძლევათ გარკვეული შეღავათები.

სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

სწავლის ხანგრძლივობა 1 წელია.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგ საბუთებთან ერთად:

1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი); 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. სამედიცინო ცნობა — ფორმა № 286; 5. ავტობიოგრაფია; 6. 6 ცალი ფოტოსურათი (3X4); 7. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან; 8. პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად).

საბუთების მიღება იწარმოებს 31 იანვრამდე (დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე კვირაღღის გარდა).

სწავლა დაიწყება 1 თებერვალს.

სასწავლებლის მისამართია: ქ. **თბილისი, კამოს ქ. № 37.** (ქორწინების სახლის გვერდით). ტელეფონი: 95-60-78 ან 95-57-01, 95-57-02. დამატებით 5-92, 5-96. ტრანსპორტი: ავტობუსი — 67, 73, 40, 4, 42, 15; ტროლეიბუსი — 1, 14. სამარშრუტო ტაქსი — 14.

ყურადღება!



კულტურის სახლებში, სკოლებში და საცხოვრებელ სახლებში აკიაფდა საახალწლო ნაძვისხეები.

ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებო!

ყველაფერი იღონეთ, რათა თავიდან აიცილოთ ხანძარი საახალწლო ნაძვისხის დღესასწაულის დროს.

პატივცემულო მშობლებო!

საახალწლო ნაძვისხის მოწყობისას მკაცრად დაიცავით სახანძრო უსაფრთხოების წესები!

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.

ცისფერ ეკრანზე



საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

□ 7 იანვარი

პირველი პროგრამით: 17.00 — „აბიგურიენგთათვის — ბილო�გია (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმების ტელეფესტივალი „ჯადოსნური ეკრანი“ (ფ.), 18.05 — მოსწავლეთათვის — „კონცერტი „მეგობრობის მერიდიანზე“ (ფ.), 18.25 — „კინონარკვევი, 18.35 — „შვენიერების სამყაროში“ — ჰიდროგეოლოგია და მელიორაციის ინსტიტუტში (განმეორებით. ფ.), 19.15 — „კონცერტი, 19.45 —„დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „ტანსაცმლიერული ექსპრესი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — 6 იანვრის მაგჩის მეორე გაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით: 16.00 — მასწავლებლის საათი — „ქართული ლიტერატურა, 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ოროცა თოფელი დნება“, 17.25 — „ქართული საგელევიზიო მხატვრული ფილმი „შნო“, 17.40 კონცერტი, 18.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ისტორიეგა“, 18.50 მხატვრული ფილმი „ეაკიცხული სულები“. პირველი სერია.

□ 9 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიგურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.50 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება“ (ფ.), 18.30 — „კოლექტივი და ხელმძღვანელი“, 19.00 — საკრავის ისტორია „ჩიდო“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია, 16.30 — განცხადებები (ფ.), 16.35 — „კინოალმანახი „ვარსკვლავა“ № 26 (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — სგუფენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 18.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯვება, „ოროვსნიკ“, 18.50 — მხატვრული ფილმი — „გაჩიცხული სულები“. მეორე სერია.

□ 10 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — საახალწლო ნაძვისხის ზეიმი. გადმოცემა ენინის ყრილობათა სასახლიდან, 17.55 ასკ. 7 იანვრის მაგჩის მეორე გაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით: 16.00 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა, 16.45 — განცხადებები (ფ.), 16.50 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ოროცა თოფელი დნება“, 17.25 — „ქართული საგელევიზიო მხატვრული ფილმი „შნო“, 17.40 კონცერტი, 18.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ისტორიეგა“, 18.50 მხატვრული ფილმი — „ეაკიცხული სულები“. პირველი სერია.

□ 11 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიგურიენტთათვის — ქიმია, 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შვეიცარიელთა ფრანგული ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმების ტელეფესტივალი — „ჯადოსნური ეკრანი“, 18.35 — მოსწავლეთათვის — „მელრის მაისი“ (ფ.), 18.55 — ქართული ლიტერატურული ფილმი „ივგენი მიქელაძე“, 19.15 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 19.45—„დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „ბუნების ეკრანი“ (ფ.), 21.20 — მუსიკალური შესვენება, 21.25 — საესგრადო პანორამა, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „სახლიდან გასული ეკიცის ფიქრები“ — მ. ქანლიციძის პოეზია (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია (ფ.), 16.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვორონეჟი“ (ფ.), 17.05—განცხადებები (ფ.), 17.10—დოკუმენტური ფილმი „ივანე ,კოზლოვსკი“, 18.10 — მხატვრული ფილმი „დიდი“ (ფ.), 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმი.

□ 12 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — შვეიცარიელთა ქართული ენა (ფ.), 10.35 — „ოდესა ბანანა“ — ფილმი „საფრანგეთი, სიმღერა...“, 11.35 — „ქართული თეატრის წარსულიდან“ — ალექსანდრე იმედაშვილი (განმეორებით. ფ.), 12.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „იიდვე ერთი სასიბარული დღე“ (ფ.), 12.35 — მულტფილმები, 12.45 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 13.15 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.), 13.45 — რ. ლაღიძის ოპერა „ლელა“ ჩიტოსლოგაკიაში (ფ.), 14.50 — „ხუთწლედის მაჯისცემა“ — საგელევიზიო პროგრამა, 15.35 — „ხალხური სიმღერის ოსტატები“ —. მ. თარხნიშვილი (ფ.), 16.05 — „ჯანმრთელობა“ — საგელევიზიო პროგრამა — აბიგურიენგთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.25 — განცხადებები (ფ.), 18.30 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (ფ.), 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.10 — „ბილიოწთა ლენინური უნივერსიგეგი“ (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — მხატვრული ფილმი „შორეკილები“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამო“ — ლენინგრადის „სპარტაკი“. 9 იანვრის მაგჩის მეორე გაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით: 16.00 — ბავშვებისათვის — გასართობი კინოპროგრამა, 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მუსიკალური ფილმი, 17.45 — მულტიმლიკაციური ფილმები, 18.15 — მხატვრული ფილმი „ციხიდან გაქცევა“ (ფ.).

□ 13 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეიზენშტეინი“ (ფ.), 10.00 — შვეიცარიელთა რუსული ენა (ფ.), 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.), 11.00 — ტელეკურსანტთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა (ფ.), 11.30 — „ცეროდენას ეკრანი“, 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „ილიის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — „ეინოოფეზა“, 13.45 — „თეატრი და ბავშვები“, 14.30 — „მუსიკალური ეიოსკი“ (მ.), 15.00 — „კინოს მოყვარულთათვის“, 16.30 — „ვისგნეკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 17.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შინიგა—„ციხეფერი სამკალი“ (ფ.), 17.15 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 18.15 — „თვალთაი“ საგელევიზიო ჟურნალი (ფ.), 18.45 — „კინონარკვევი, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — საესგრადო „კონცერტი, 20.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ორაკულის ბიდი“. ბრუმიერა (ფ.), 20.45 — „მოამბე“ (ფ.), 21.15 — საბჭოთა კავშირის სახალხო არგისგის, სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური პრემიის ლაურეატის ალექსეი ულანოვას საიუბილეო სალამო საბჭოთა კავშირის დიდ აკადემიურ თეატრში (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ბალინა ულანოვას საიუბილეო სალამოს გაგრძელება (მ.),

მეორე პროგრამით: 15.05 — ბავშვებისათვის — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ტაიგის იმპერატორის აღსასრული“, 16.35 — „მუსიკალური ფოსტა“ (ფ.), 17.20 — დოკუმენტური ფილმი „სერგეი ესენინი“, 18.20 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი — „ხუთშაბათს და აღარასოდეს“ (ფ.),

რა მოვისმინოთ



საქართველოს რადიოს ერთი ქვირის პროგრამა

□ 7 იანვარი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის პანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 —„დილის კონცერტი“, 08.22 — „ეკრანის მელოდიები“, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. კერესელიძე. ოპერა „ბაში-აჩუკი“. ნაწყვეტები, 11.20—გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა, 11.45 — „მეცნიერულ-გვენიკური პროგრესის პროგრამულ-მიზნობრივი მართვა“, 12.15 — მაზურკების, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ა. ვოზნესენსკის ლექსები, 12.30—ფლორის „ცისფერი ტრიო“, 12.40 — „მენეჯერი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — ი. ბრამსი. უნგრული ცეკვები, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მ.), 13.40 — ლ. ზიკინას კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. კ. ლორთქიფანიძე — „ნაგვრისთვალი“ (გაგრძელება), 14.20 — ოსური მუსიკა, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ა. ჩიმაკაძე. კამერული ნაწარმოებები, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — „მელოდია, რიგმი განწყობილება“. კონცერტი, 19.00— „გვირაბი მთების „გულში“. ნარკვევი, 19.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — რ. შუმანი. მოოთხე სიმფონია, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — „ლიტერატურული“ — ა. ფეფელიაშვილი. „ბიბლიოთეკა“ — „ბალიანი“ — ,ბ. ,ბ. ,ბ.